

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	8
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
6. გრძელვადიანი სესხები	8
7. საგადასახადო ვალდებულებები	8
8. ფული და ფულის ექვივალენტები	8

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ“

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,130,616	7,182,191
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(500,467)	(4,492,117)
საერთო მოგება	1,630,149	2,690,074
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,499,497)	(1,248,198)
საოპერაციო მოგება	130,652	1,441,876
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	161,451	66,971
საპროცენტო ხარჯები	(961,696)	(964,223)
არასაოპერაციო ზარალი	-	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(606,270)	(234,480)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	-
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე	(1,275,863)	310,144
მოგების გადასახადი	-	-
წლის სრული მოგება	(1,275,863)	310,144

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 06 ოქტომბერს

ანზორ სხირტლაძე
დირექტორი



შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
შენიშვნა (არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,569,850	1,629,371
ძირითადი საშუალებები	5,582,808	5,986,762
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,152,658	7,616,133
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	8,389	39,557
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	522,463	467,409
გადახდილი ავანსები	146,446	146,058
მარაგები // სხვა	1,363,371	1,851,065
სხვა მიმდინარე აქტივები	3,034	3,034
სულ მიმდინარე აქტივები	2,043,703	2,507,123
სულ აქტივები	10,196,361	10,123,256
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	900,000	900,000
გაუნაწილებელი მოგება	(5,326,922)	(4,051,059)
სულ კაპიტალი	(4,426,922)	(3,151,059)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	7,318,528	6,780,421
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7,318,528	6,780,421
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	5,041,098	4,473,291
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	2,085,468	1,690,693
საგადასახადო ვალდებულებები	178,189	329,910
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7,304,755	6,493,894
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	10,196,361	10,123,256

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 1 იანვარი 2018	900,000		(4,361,203)	(3,461,203)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	-	310,144	310,144
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	900,000		(4,051,059)	(3,151,059)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	-	(1,275,863)	(1,275,863)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	900,000		(5,326,922)	(4,426,922)

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2011 წლის 13 მაისს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404897741.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, ამჟამად ქონების რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ინგოროყვას ქ. N19

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 50%-იან წილს ფლობს ბიძინა წაქაძე (პ/ნ 18031006506), 50%-იან წილს ფლობს ბექან წაქაძე (პ/ნ 18001014174)

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვით პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტით“.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად,

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	3-10
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს.
- **მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ +“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს საკუთრებაში არსებული ქონების და მიწის ნაკვეთის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, კურსთაშორის სხვაობა.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	76,126	150,516
საიჯარო ქირა	19,200	19,200
ცვეთა და ამორტიზაცია	440,972	447,101
სხვა საერთო ხარჯი	963,199	631,381
ჯამი	1,499,497	1,248,198

6. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას აქვს საბანკო გრძელვადიანი სესხი

7. საგადასახადო ვალდებულებები

წინა პერიოდში საგადასახადო შემოწმების შედეგად კომპანიას დაერიცხა საგადასახადო ვალდებულება, რის საფუძველზეც კომპანიის აქტივებს ადევს ყადაღა.

8. ფული და ფულის ექვივალენტი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული სალაროში	822	1,722
ფული საბანკო ანგარიშზე	7,567	37,835
ჯამი	8,389	39,557